



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1787  
15/10/2018

ქალაქი ბათუმი

1787-05-4-201810151748



**ნატო შერვაშიძეზე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღის მიცემისა და ბადრი ირემამძეზე დირექტორის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“- პუნქტის, „ე-ე“ ქვეპუნქტის; საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 2015 წლის 23 აპრილის №63 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდების მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი ნატო შერვაშიძის 2018 წლის 12 ოქტომბრის №13989/05 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ნატო შერვაშიძეს - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორს მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 15 სამუშაო დღე, 2018 წლის 15 ოქტომბრიდან 02 ნოემბრის ჩათვლით.

2. ბადრი ირემამძეს - ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მოადგილეს, დაეკისროს ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შესრულება, ამავე თანამდებობაზე მომუშავე ნატო შერვაშიძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 15 ოქტომბრიდან 02 ნოემბრის ჩათვლით.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა